კომუნისტი

მეოთხე წელიწადი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კ. თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეოთხე სართული

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24 ტელეფონი 10—49

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდ კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.

ტელეფონები (რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58)

ელისმწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტროქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კვკ. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა ტექსტებში—ორჯერ მეტი. სამკლეკვირო განცხადება—5 მან., ჯანმეორეთითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

— ჩინეთში დაარსდა იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოება.

— ერრიოს მოადგილეთ დაინიშნა იუსტიციის მინისტრად ენუ.

— ავადყოფებულები ბრაზილიაში იმატებენ. ამერიკის მთავრობა სამხედრო ფლოტს გზავნის ბრაზილიაში.

— ჩინეთში წყალდიდობამ დაზარალა [illegible] კაცი.

— გერმანიის მთავრობა უშვებს ოქროს ვალუტას.

— ირლანდიის მეამბოხეთა მეთაური დე-ვალერა ციხიდან გაანთავისუფლეს.

№ 161 (1016) პარასკევი 18 ივლისი 1924 წ. ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ფასი 4 კ. № 161 (1016)

ᲒᲐᲭᲘᲠᲝᲚᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ

ᲡᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲘᲙᲘᲗᲮᲝᲜ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“-Ს ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐᲨᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲐᲚᲘ

„ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲝᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ კონფერენციის გახსნის შესახებ გერმანიის ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲗ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲗ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲗ

უკანასკნელი ცნობები

კომუნისტები სრულ ამნისტიას მოითხოვენ

პარიზი. 17 ივლისი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატის უკანასკნელ სხდომაზე, რომელზედაც მიღებული იქნა კანონი ამნისტიის შესახებ, კომუნისტების ლიდერმა კაშენმა, კომფრაქციის სახელით გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამია: „მრავალ პირებზე არ ვრცელდება ამნისტიის შესახებ მიღებული კანონი. ამიტომ კომუნისტებს განზრახვა აქვთ დაუყოვნებლივ დაიწყონ ენერგიული კამპანია სრული ამნისტიის სასარგებლოდ“.

ზამოისკის გადადგომა.

ვარშავა. 17 ივლისი. პოლონეთის მთავრობაში მოსალოდნელი ცვლილებების გამო, გადადგა საგარეო საქმეთა მინისტრი ზამოისკი.

ნაციონალური საკითხის საუკეთესო გადაჭრა.

ვარშავა. 17 ივლისი. პოლონეთის ხელმში ნაციონალურ უმცირესობათა უფლებების შესახებ კამათის დროს, უკრაინელმა სოციალ-დემოკრატმა სკრიპმა განაცხადა: „ჩვენ მზად ვართ ერთხელ და სამუდამოთ მოგაღოთ ბოლო ნაციონალურ საკითხს და ამიტომ ვისწრაფვით შეუერთდეთ საბჭოთა კავშირს“.

ოპოზიცია ფაშიზმის წინააღმდეგ.

ბერლინი. 17 ივლისი. რომიდან მიღებული ცნობით, სახალხო-კათოლიკური პარტიის ლიდერები ცდილობენ მჭიდრო კავშირი დაიჭირონ სოციალისტებთან ფაშიზმის წინააღმდეგ ოპოზიციონური ფრონტის გასაძლიერებლად.

ესპანელების დამარცხება მაროკოში.

პარიზი. 17 ივლისი. პარიზში მიღებული ცნობებით, ტეტუანის რაიონში მაროკოს აჯანყებულმა მცხოვრებლებმა გაარღვიეს ესპანელი ჯარების ფრონტი და ტყვეთ წაიყვანეს ესპანელების დიდი რაზმი 800 კაცის შემადგენლობით და წაიღეს ამას გარდა 40 ტყვიისმფრქვეველი.

ცნობამ ესპანელების დამარცხების შესახებ გამოიწვია ახალი აჯანყებები მაროკოს სხვადასხვა კუთხეებში.

ინგლისელების პროვოკაცია.

ლონდონი, 17 ივლისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ქ. ნაგპურში (ინდოეთი) მუსლიმანებსა და ინდუსებს შორის სარწმუნოებრივ ნიადაგზე შეტაკება მოხდა. მუსლიმანები შეიჭრნენ ინდუსების ტაძარში და დაამსხვრიეს კერპები. მოკლულია 6 კაცი, 100 მეტი დაიჭრა. ეს არის ინგლისელების მორიგი პროვოკაცია: ინგლისელები ცდილობენ გააძლიერონ ინდუსებსა და მუსლიმანებს შორის მტრობა სარწმუნოებრივ ნიადაგზე, რომ ამით განამტკიცონ თავისი შერყეული მდგომარეობა ინდოეთში.

თეთგვარდიელებს მიპაბრძანებენ.

პეკინი. 17 ივლისი. უკანასკნელ დღეებში თეთრგვარდიელებს რომლებიც გამაგრდენ რუხეთის ყოფ. ხაელჩოს შენობაში პეკინში, მოუმატა 30 კაზაკი თეთრგვარდიელ პოლკოვნიკის ივანოვის მეთაურობით, რომელიც თავის თავს კომენდანტს უწოდებს. შენობა ალყაშემორტყმულია ქალაქის პოლიციის რაზმის მიერ, რომელიც შეიარაღებული ძალისათვის მიმართვით ემუქრება თეთრგვარდიელებს, თუ ისინი ნებაყოფლობლით არ დანებდნენ შენობას. ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აცნობა კარახანს, რომ შენობა არა უგვიანეს 20 ივლისისა გადაეცემა საბჭოთა წარმომადგენლობას

მოლაპარაკება ინგლისთან

საუბარი ამხ. ტომსკისთან

ეიდკუნენში ბერლინიდან მოსკოვში მიმავალმა ამხ. ტომსკიმ „ზაკროსტა“-ს პასუხისმგებელ ხელმძღვანელ ამხ. მარკარიანს გაუზიარა შთაბეჭდილებანი ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების შესახებ.

— მომავალ მუშაობის პერსპექტივების შესახებ უნდა ვსთქვა შემდეგი: მოლაპარაკება შეფერხდა, ვინაიდან კრედიტორებს სრულიად არ აქვთ შეგნებული თავიანთი ეროვნული ინტერესები, რის გამოც შეთანხმების შანსები მნიშვნელოვნად შემცირდა.

კრედიტის შესახებ უნდა ვსთქვა, რომ მისი რეალიზაცია შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ინგლისის მთავრობის მხრივ იქნება მოცემული გარანტიები, მაგრამ ჯერჯერობით შეგვიძლია მივიღოთ მხოლოდ უმნიშვნელო სესხი. **რა თქმა უნდა სესხის ზიდვის გარეშე ზედმეტია ლაპარაკი ვალების ცნობაზე.**

• კონფერენცია უახლოვდება გადამწყვეტ მომენტს და მისი დამთავრება მოსალოდნელია აგვისტოს შუა რიცხვებში. ადვილი შესაძლებელია, რომ ზოგიერთი საკითხები პრაქტიკულად იქნას გადაჭრილი, ხოლო ყველაზე უფრო სადავო საკითხები მომაველი სათვის გადაიდება, ამასთანავე მუშაობა რამდენიმე ხნით შესწყდება.

შესაძლებელია ცნობა და აღდგენა ზოგიერთ პატარა-პატარა ხელშეკრულებათა, რომელიც დადებული იყო მეფის მთავრობასთან,—ასეთია ტერიტორიალური, საზღვაო და სხვა ხელშეკრულებები.

საერთოთ ჩვენს უთანხმობას ინგლისის მთავრობასთან არ აქვს სერიოზული და არსებითი ხასიათი.

ბოლოს ამხ. ტომსკიმ განაცხადა, რომ ლონდონსა და სხვა ქალაქებში იმყოფებოდა მუშათა მატინეები და მანიფესტაციები, რომლებზედაც მუშები თავის სიმპატიებს იჩენდნენ საბჭოთა კავშირის მიმართ“.

კომუნისტური მოძრაობა ბალკანეთზე

ოსმალეთის პრესა კომუნიზმის „საფრთხის“ შესახებ.

სტამბული. 17 ივლისი. ამყამად ცენტრალურ ადგილს ოსმალეთის პრესაში უთმობენ ბალკანეთის საკითხს; **გამოწვეულია ეს ბულგარეთში რევოლიუციონური მოძრაობის დაწყებით და მოკავშირეების განზრახვით გაგზავნონ ბალკანეთის საბჭოსადგურებში სამხედრო გემები.**

ეყრდნობა რა ცანკოვის განცხადებას, ოსმალეთის პრესა ფიქრობს, რომ ხმები კომუნისტური „საშიშროების“ შესახებ ბულგარეთში რამოდენიმედ გადაჭარბებულია. მაგრამ, ასეთი „საშიშროების“ არსებობა საეჭვოა შესაძლებელია.

„ტანინი“-ს სიტყვებით, ბულგარეთში შეიძლება შეიქმნეს სრულიად ხელსაყრელი პირობები აჯანყების გამარჯვებისათვის რუმინეთი შეიძლება ორ ცეცხლს შუა ჩავარდეს, რადგან სამხრეთ-სლავიის კომუნისტური პარტია არ დაუშვებს გამოსვლას საბჭოთა ბულგარეთის წინააღმდეგ; საბერძნეთს კიდევ თავისი გაჭირვება აწუხებს.

ამის გამო ოსმალეთის მთავრობამ, „ტანინის“ სიტყვებით, დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს წინასწარი ზომები; მან უნდა უზრუნველჰყოს საზღვრები იმ მიზნით, რომ რევოლიუციონური ტალღა არ გადავიდეს ოსმალეთში. ამას გარდა ოსმალეთ ი სდგას მეორე საშიშროების წინაშე: ოსმალეთში უეჭველად შეიპრენიან ალბანეთის კონტრ-რევოლიუციის ა არებელი ლტოლვილები.

ფაშიზმის სამეფოში

ნაადრევი ზეიმი

რომი, 16 ივლისი. მუსოლინის ორგანო „პოპოლო დიტალია“ სწერს: „ფაშიზმი ადვილათ გამოვიდა იმ ზღვიმე მდგომარეობიდან, რომელშიაც ის იმყოფებოდა უკანასკნელი თვის განმავლობაში. პარტიის და ფაშისტურ მილიციას მშვენიერათ ეკიჭათ თავი. **მილიცია ისეთად დარჩება, როგორიც ის აქამდე იყო.** არ შეიძლება მილიცია გადაიქცეს რეგულიარული არმიის ორეულათ ან და საჭიროა გვარდიის სასაცილო ასლათ“.

ილუშქრებს რა ფილო-ფაშისტების პოზიციის წინააღმდეგ, გაზეთი ამბობს:

„უკანასკნელი კვირის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ფილო-ფაშისტებს უნდობლობით უნდა მოვეპყრათ. ფილო-ფაშისტურათ განწყობილი მასიური ობიექტები ერთია, და დემოკრატიის რიგებიდან გამოსული ფილო-ფაშისტი კი მეორე. ჩვენ უნდა გამოვამეჯოვნოთ მათი საქმეები და ისინი მტრებათ უნდა ჩავთვალოთ, **ოპოზიციას არ აქვს პროგრამა,** მისი ხელოვნურად გამოხატა საგაზეთო პოლემიკაში და ცრუ ხმების გავრცელებაში. მოწინააღმდეგეების შემოტევამ პიროკულმა გავლენა მოახდინა ფაშიზმზე, ეხლა იწყება ახალი თვე“.

ამ წერილის საპასუხოთ, ფილო-ფაშისტური „დეფორონალე დიტალია“ სწერს: „გაზეთი, რომელიც ახლო სდგას მთავრობის მეთაურთან, დასცინის ლიბერალებს, როგორც სულელ ლაქიებს, რაც შეუძლებელია გაგრძელებული იქნეს მომავალში. ან კავშირი ურთიერთ პატივისცემის პრინციპების საფუძველზე, ანდა განხეთქილება“.

„უკანასკნელი ბრძოლის“ დაწყების მუქარა.

რომი. 16 ივლისი. ინვალიდების ყრილობაზე ოპოზიციის დეპუტატმა დელაკროვამ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა: „ან მთავრობა დაამშვიდებს ქვეყანას, ან ხალხი დაიწყებს უკანასკნელ ბრძოლასო“.

ამ სიტყვის საპასუხოთ მუსოლინიმ გაგზავნა დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია: „1920 წელს მე ვიყავი მომხრე იმისა, რომ მომხდარიყო შეთანხმება „პოპოლორსა“ და ფაშისტებს შორის, მაგრამ შეთანხმების დროს სპეროა, რათა მეორე მხარეც იყოს თანახმა. იმის შემდეგ, რაც უკანასკნელ ხანებში პარლამენტში, სენატში და უმრავლესობის ფრაქციის კრებაზე მე მზარს უმერდი შეთანხმებას, ოპოზიცია პასუხის ნაცვლათ მოითხოვდა ჩემს პასუხისგებაში მიცემას.

პრესის შესახებ გამოცემულ დეკრეტის ფინალიზდეგ.

რომი. 16 ივლისი. ოპოზიციონურ პარტიების ორგანიზაციების მსგავსად ჟურნალისტების საოლქო კავშირებმა გამოიტანეს რეზოლიუცია პრესის შესახებ გამოცემულ ახალ დეკრეტის წინააღმდეგ და უარი განაცხადეს კომისიაში წარმომადგენლების გაგზავნაზე. ეს კომისიები, დეკრეტის მიხედვით, წარმოადგენენ სათათბირო ორგანოებს პრეფექტებთან პრესის საქმეების განსახილველად.

რეაქცია სამხრეთ სლავიაში

ბრძოლა მუშათა პარტიის წინააღმდეგ.

ვენა, 16 ივლისი. **სამხრეთ-სლავიის მთავრობა ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წინააღმდეგ.** შინაგან საქმეთა მინისტრმა წინადადება მისცა პოლიციას დაშალოს დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ყველა ის ორგანიზაციები, რომელთა შესახებაც მოიპოვება ცნობები, რომ ისინი ეწევიან არალეგალურ მუშაობას და ჩამოართვას მათ მთელი ქონება. **პოლიციამ მოახდინა ჩხრეკა პარტიის ბელგრადის ორგანიზაციის ბიუროს ბინაზე. ჩამოართვა აღმოჩენილი დოკუმენტები და დაბეჭდა ბიურო.** ამავე დროს მოხდა ჩხრეკა **პარტიულ ორგანოს „რადნიკის“ რედაქციაში, პარტიულ სტამბაში და პარტიის** ლიდერების ბინებში, სადაც ჩამორთმეულია მთელი ლიტერატურა და ფულები.

ზაგრებში ხალისუფლების წარმომადგენლებმა **დახურეს პარტიულ ორგანოს „ბორბას“ რედაქცია.** რედაქციის **შენობას იცავენ ჯარის ნაწილები, რათა ხელი შეუშალონ დემონსტრაციებს. გამოცემულია ბრძანება მუშათა პარტიის ცეკას წევრთა დაპატიმრების შესახებ.** ამავე დროს იტყობინებიან ფაშისტურ ორგანიზაციების მოქმედების გაძლიერების შესახებ. ლიუბეკში ფაშისტებმა **პროვოკაციულად მოაწყვეს მუშებთან შეტაკება. მოკლულია ერთი მუშა და დაჭრილია ერთი ფაშისტი. პოლიციამ დააპატიმრა რამდენიმე მუშა.**

ჩინეთის ამბები

ერრიოს პოლიტიკა ჩინეთში უცვლელი რჩება.

პეკინი. 16 ივლისი. საფრანგეთის ელჩმა ფელერიომ ერრიოსაგან მიიღო დეპეშა იმის შესახებ, რომ **ეხლანდელი მთავრობა სატარიფო საკითხში** ისეთივე აზრისაა, **როგორც პუანკარეს მთავრობა.** ამ დეპეშას ჩინეთში სთვლიან ერრიოს არაპირდაპირ პასუხად ჩინეთის პარლამენტის **ელჩრების ცნობილ დეპეშაზე, რომელშიაც** ჩინეთის პარლამენტის დეპუტატები იმ აზრს გამოსთქვამდენ, რომ ძალაუფლების სათავეში ერრიოს მოქცევის შემდეგ ჩინეთში შეიცვლება საფრანგეთის პოლიტიკაო.

პასნაკუთრებული პასპორტები ჩინელებისათვის

პეკინი. 16 ივლისი. „დეილი ნიუზ“-ი ყურადღებას აქცევს იმ ახალ პირობებს, რომელიც შემოღებულია კანტონის უცხოელთა უბანში; **ამ პირობების ძალით ჩინელები დაშვებული იქნებიან ამ უბანში მხოლოდ განსაკუთრებული პასპორტებით.** გაეთი აღნიშნავს, რომ უცხოელები პოროტად იყენებენ ჩინეთის სტუმართმოყვარეობას, რაც მეტად ცუდი და საშიში პოლიტიკაა.

იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოება.

პეკინი 16 ივლისი. **პეკინში დაარსდა იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოება,** რომელიც მოაწყო მიტინგი პარლამენტის ელჩრების და სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. გამოსული ორატორები აღნიშნავდენ, რომ საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს ჩინეთისათვის პორტ-არტურის, დაირენის, ვეიხა-ვეის და დიპლომატიური ბინის დაბრუნება პეკინში. შეტანილი იქნა წინადადება სპეციალური გაზეთის დაარსების შესახებ საზოგადოების იდეების პროპაგანდის მიზნით; ორატორები მოითხოვდენ ავრეთვე ბოიკოტი გამოცხადებას უცხოელთა საქონლისაგან და იმას, რომ უცხოელებზე გაყიდული არ იქნეს პირველი მოთხოვნილების საგნები.

„საზოგადოების მანიფესტში ნათქვამია, **რომ დადგა დრო, როდესაც საჭიროა ბრძოლის წარმოება უცხო სახელმწიფოების იმპერიალიზმის წინააღმდეგ; მანიფესტი შეიცავს აგრეთვე მოწოდებას ყველა დაჩაგრულ ხალხებისადმი დაიწყონ ასეთივე ბრძოლა.**

ფყალდიდობა ჩინეთში

ნაუეინი. 17 ივლისი. **პეკინიდან იტყობინებიან არაჩვეულებრივ წყალდიდობის შესახებ ჩინეთის პროვინციებში ხუნანსა და კიანგ-სიში. სრულიად დანგრეულია ასეული სოფლები და მთელი რიგი დიდი ქალაქები.**

წყალდიდობამ სრულიად დაანგრია ქალაქი კალგანი. მრავალი ასეული ათასი მცხოვრებელები უსახლკაროდ დარჩენ.

სხვადასხვა ამბები

— **აჯანყება ბრაზილიაში.** ბუენოს აირესიდან მიღებული ცნობების თანახმათ, მეამბოხეებმა წინ წაიწიეს 13 კილომეტრით.

ნიუ-იორკიდან იტყობინებიან, რომ შეერთებული შტატების მთავრობა ბრაზილიაში გზავნის სამხედრო გემებს. ბუენოს-აირესიდან მიღებულ ცნობების თანახმაა, ბრაზილიის რევოლიუციონური არმია ამ ჟამად მოქმედობს სანტოსიდან 10 მილის დაშორებით, ბრძოლა სან-პაბლოში გრძელდება.

— **დე-ვალერას განცხადება.** დუბლინში (ირლანდიის სატახტო ქალაქია) გაანთავისუფლეს ირლანდიის ყოფილი პრემიერი დე-ვალერა და ყ. ფინანსთა მინისტრი სტეკი.

— **ალბანეთის და სამხრეთ-სლავიის საზღვარზე.** ბელგრადიდან მიღებული ცნობებით, უკანასკნელი შეტაკებების დროს მოკლებულია სამხრეთ-სლავიის 200 ჯარისკაცი და 300 ალბანელი მეამბოხე.

— **მცენარეულობა მთავრეზე.** პროფესორი პეკერინგი, რომელიც კუნძულ იამაიკაზე ასტრონომიულ გამოკვლევებს ახდენს, იუწყება, რომ ამ მთავრეზე მცენარეულობის ნიშნები აღმოჩენილა.

— **დედამიწის გარშემო.** ამერიკელი ავიატორები, რომლებიც დედამიწის გარშემო გადაფრენას ახდენენ, საფრანგეთიდან ლონდონში ჩიფრინდენ, სადაც მათ დიდის ზეიმით შეხვდენ. ლონდონიდან მფრინავები კუნძულ გრენლანდიისკენ გაემგზავრებიან.

— **ოქროს ვაულიუტა ვერმანიაში.** გერმანიის მთავრობამ გამოაქვეყნა კანონპროექტი ოქროს ვალიუტის გამოშვების შესახებ. პირველ რიგში გამოშვებული იქნება ოქროს 10 და 20 მარკიანი.

— **ფრანგები საბერძნეთში.** საბერძნეთის მთავრობამ დაადგინა გადასცეს საფრანგეთის სამხედრო მისიას საბერძნეთის სამხედრო შკოლა.

— **იარაღის ტარების აკრძალვა.** ვინაიდან ავსტრიაში ძლიერ გაბშირდა შეიარაღებული შეტაკებები სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენელთა შორის, ავსტრიის მთავრობამ აკრძალა იარაღით მისვლა კრებებზე და მიტინგებზე.

— **შავების მანიფესტაცია.** მილანში მზადდება ლომბარდიის ყველა ფაშისტრძალების მანიფესტაცია.

რომში დაკავებული და გაგზავნილი იქნენ უკანეე 400 ნეოპოლიტანელი ფაშისტი, რომლებიც მილანში მიემგზავრებოდენ. შინაგან საქმეთა მინისტრმა განკარგულება მოახდინა გაჩხრეკილ იქნან ისინი ნეაპოლში ჩასვლის შემდეგ და ჩამოერთვათ მათ იარაღი.

კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი

11 ივლისის სხდომა

ფვეციის საკითხი

მოსკოვი. 17 ივლ. სხდომაზე იხილავდენ შვეიცის საკითხს. მომხსენებლად გამოვიდა ამხ. **ტელმანი,** რომელმაც დაახასიათა შვეიცის პარტიაში შემჩნეული თანდათანობით მარჯვნისაკენ გადახრა. გადახრას ხელმძღვანელობას უწევს ამხ. ხეგლუნდი და შვეიცის პარტიის ცეკა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჭიროა ბრძოლა შვეიცის პარტიაში ანტიბოლშევიკურ გადახრის წინააღმდეგ. შვეიცის საკითხის გამო კომინტარნის მიერ არჩეულმა კომისიამ წარმოადგინა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ამხ. ხეგლუნდისაგან კომინტერნის დადგენილებათა შესრულებას. ამხ. ხეგლუნდი შეეცადა გაეგთილებია მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება და დაამტკიცებია, რომ პარტიული კრიზისი გამოწვეულია პირადი უთანხმოებით. როდესაც მას შეეკითხენ, აასრულებს თუ არა ის კომინტერნის აღმასკომის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას შვეიცის საკითხზე, ამხ. ხეგლუნდმა განაცხადა: „არ შეიძლება შეუძლებელის განხორციელება“-ო.

ბოლოს ამხ. ხეგლუნდი მოითხოვდა, რათა აღმასკომმა დახმარება გაუწიოს შვეიცის პარტიის უმრავლესობას და უნდობლობა გამოუცხადოს ოპოზიციონურ უმცირესობას, რომელსაც ამხ. ჩილბუმი მეთაურობს.

ამხ. ზინოვიევმა აღნიშნა, **რომ** ამხ. ბეგლუნდს აღებული აქვს კურსი გრანტინგზე და არა კომინტერნზე, რომელიც სცდილობს გარკვეულობა შეიტანოს შვეიციის პარტიაში და ბოლო მოუღოს კრიზისს, რომელიც 5 წელიწადი გრძელდება. კომინტერნს სურს დაიცვას პარტიის მთლიანობა კონგრესის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე. თუ ხეგლუნდი უარს ამბობს ამ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებაზე, მაშინ პასუხისმგებლობა პარტიულ კრიზისისათვის ეკისრება მას.

სხვადასხვა სექციების წარმომადგენლები მოითხოვდენ ენერგიულ ზომების მიღებას ხეგლუნდის მიმართ. რეზოლიუცია შვეიცის საკითხზე მიღებულ იქნა თითქმის ერთხმად, წინააღმდეგ შვეიცის დელეგაციის ორი ხმისა.

როდესაც, რეზოლიუციის მიღების შემდეგ თავმჯდომარე ამხ. გერგარდტი შეეკითხა ამხ. ხეგლუნდს, ფიქრობს თუ არა ის რეზოლიუციის მიღების შემდეგ გაატაროს იგი ცხოვრებაშიო, ამხ. ხეგლუნდმა უპასუხა; „მე ვეღარაფერს ვეღარ დაუმატებ იმას, რაც უკვე მოგახსენეთ“-ო. ხეგლუნდის პასუხმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია დარბაზში.

შემდეგ პლენუმმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია „ნორვეგიის პარტიისა და კოოპერაციის საკითხებზე.

პროფინტერნის მესამე კონგრესი

16 ივლისის სხდომა

საგაფიცვო სტრატეგიის საკითხი

მოსკოვი. 17 ივლისი. კონგრესი იხილავს საკითხს საგაფიცვო სტრატეგიის შესახებ. პირველი მომხსენებელი ამხ. **მონმუსო** (საფრანგეთი) აღნიშნავს, რომ თანამედროვე პროფ-მოძრაობის ყველა დანარჩენი საკითხები მეორეხარისხოვან საკითხებად ითვლებიან. მომხსენებელი აღნიშნავს საგაფიცვო მოძრაობის მთავარ საფუძვლებს. მომხსენებლის აზრით საჭიროა წამოყენებულ იქნას მოძრაობის კონკრეტიული ლოზუნგები. მომხსენებელი უარყოფს ნაწილობრივ გამოსვლებს და ანვითარებს გაფიცვების თანამიმდევრობის თეორიას; ამ გაფიცვების თანამიმდევრობა განისაზღვრება ეკონომიური პირობებით. ამხ. მონმუსო აღნიშნავს, რომ საჭიროა დაარსდეს საგაფიცვო სალაროები გაფიცულთათვის დახმარების **გასაწევად.** დიდ გამოსვლების დროს საჭიროა საერთაშორისო დახმარება, რისთვისაც მომხსნებელი წინადადებას იძლევა მოეწყოს საწარმოვო კარტელები.

ამხ. მონმუსოს აკრიტიკებს მეორე მომხსენებელი ამხ. **ჰეკერტი** (გერმანია), რომლის აზრით ამხ. მონმუსოს მიერ წარმოდგენილი ზომები მოძველებულია. პროფმოძრაობის წინაშე დასმული სტრატეგიული მიზანი ისეთივეა, როგორც პროლეტარიატის პოლიტიკური მიზნები—ძალა-უფლების ხელში ჩაგდება და კაპიტალიზმის დამხობა. სტრატეგიის გამომუშავებას საფუძველად უნდა დაედოს ლენინიზმი, რომელიც გვასწავლის მოვლენების ვითვალისწინებას, აგ მოვლენებისათვის მასების მომზადებას და მათი გამოსვლების ხელმძღვანელობას. მომხსენებელი აღნუსხავს პრაქტიკულ ღონისძიებებს და საჭიროდ სთვლის, რათათანამედროვე გაფიცვას მიეცეს მასიური ხასიათი, და გაფიცვების დროს არ დაერიდონ შეიარაღებულ გამოსვლებსაც კი. ამხ. ჰეკერტი წინადადებას იძლევა არჩეულ იქნას ყონგრესზე სხვადასხვა ქვეყნებიდან ამხანაგების ჯგუფი კლასთა ბრძოლის სტრატეგიის გამოსამუშაებლად

მესამე მომხსენებელი ამხ. **დენნი** (ამერიკა) აღნიშნავს, რომ ამერიკაში ამ მეთოდების გამოყენება არ შეიძლება, ვინაიდან კლასიურ ძალების განწყობილება იქ არ არის ხელსაყრელი პროლეტარიატისათვის. საყოველთაო გაფიცვა შეერთებულ შტატებში შეუძლებელია ტერიტორიის სიდიდის გამო და ასეთი გაფიცვა პოლიტიკურადაც არასოდეს არ ყოფილა ჩატარებული. საჭიროა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. მორიგ ამოცანად ამერიკისათვის ამხ. დენნი სთვლის ამერიკელ მუშების ჩაბმას გერმანელ მუშების დასახმარებლად ექსპერტთა გეგმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კამათი გადადო შემდეგი სხდომისათვის.

კომუნისტ ქალების საერთაშორისო კონფერენცია

კამათი მოხსენებების გარშემო.

მოსკოვი, 17 ივლისი. კომუნისტ ქალების საერთაშორისო კონფერენციის 15 ივლისის საღამოს სხდომაზე სწარმოდა კამათი მოსმენილ მოხსენებების გარშემო. ამხ. კლარა ცეტკინმა და გერტა შტურმმა ჯამი გაუკეთეს ორატორების სიტყვებს და აღნიშნეს, რომ მუშაობის ცენტრათ უნდა გადაიქცეს წარმოება. ძირითადი ამოცანაა მუშათა კლასის ქალთა ნაწილის დაპყრობა, რასაც მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს.

მუშაობა საფაბრიკო-საქარხნო წარმოებებში.

16 ივლისის დილის სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. **კანატჩიკოვის** მოხსენება საფაბრიკო-საქარხნო წარმოებებში მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ძირითადი ამოცანაა ქალთა პროლეტარიატის ჩაბმა საერთო პროლეტარულ ბრძოლაში. მხოლოდ მთელი მუშათა კლასის, განურჩევლათ სქესისა, შეერთებული ბრძოლა შეიძლება დამთავრდეს მშრომელთა გამარჯვებით.

ფეიქარი ლიუბიჩ.

საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნა ცნობა იმის შესახებ, რომ სამხრეთ-სლავიის ციხეში მხეცურათ მოკლული იქნა მუშა ქალი-ფეიქარი ლიუბიჩი. კონფერენციამ მიიღო მიმართვა სამხრეთ-სლავიის კომპარტიისადმი, რომელშიაც ნათქვამია, რომ კონფერენცია დასავლეთის და აღმოსავლეთის მრავალ მილიონ მშრომელ ქალთა სახელით უცხადებს გათავხედებულ ბურჟუაზიას, რომ მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის მებრძოლთა თვითეულ წვეთ სისხლისათვის შურს იძიებს მთელი მსოფლიოს მუშების და მუშა ქალების დიდი არმიის ძლევამოსილი აჯანყება.

ზითელ ფლოტი

რუსეთი

ლენინის პირადი მეგობრის ოჯახი.

მოსკოვი, 17 ივლისი. პოლონეთიდან ჩამოვიდა ლენინის პირადი მეგობრის, პრომინსკის ოჯახი, **რომელსაც აქვს მრავალი დოკუმენტები ლენინის შესახებ და ფოტოგრაფიული ხურათები ლენინის ავადმყოფობით, 90-იან წლებში ციმბირში ერთად ყოფნის აღსანიშნავად.**

ბურის ფასები.

მოსკოვი, 17 ივლისი. გვალვიან ადგილებში ბურის გადაზიდვის გამო, ივლისის დასაწყისში ბურის ფასებმა აღნიშნულ რაიონებში 14 პროც. დაიკლო, ხორბლის ფასებმა—12 პროცენტით.

ჩეხო-სლოვაკიის სტუდენტები.

მოსკოვი, 17 ივლისი. ჩეხო-სლოვაკიიდან მოსკოვში ჩამოვიდა სტუდენტთა ჯგუფი პრაქტიკულ მეფუბაობის საწარმოებლად მოსკოვის ქარხნებში.

სოფლის კორესპონდენტის მოკვლა.

ნიკოლაევი, 17 ივლისი. ნიკოლაევში მოკლულია სასოფლო გაზეთის „კრასნი ნიკოლაევ“-ის კორესპონდენტი—მალინოვსკი. მკვლელმა, მალინოვსკის ძმამ დაკითხვის დროს განაცხადა, რომ ის წაეკეზეს სასოფლო კულაკებმა და თანამდებობის პირებმა, რომლებიც მექრთამეობაში გამომეღავნა მოკლულმა კორესპონდენტმა. დაპატიმრებულია 5 კაცი.

საერთაშორისო სამალიარიო კონფერენცია.

მოსკოვი, 16 ივლისი. მოსკოვში გაიხსნა საერთაშორისო სამალიარიო კონფერენცია, რომელზედაც ჩამოვიდა ერთა ლიგის სამალიარიო კომისია, **რომელშიაც შედიან 11 ევროპიული სახელმწიფოს სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ეპიდემიოლოგიურ განყოფილების გამგემ ექიმმა დობრეიცერმა მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირში მალარიის გავრცელებისა და მის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლის შესახებ.

სტუდენტების ჩასვლა პრაქტიკაზე.

მოსკოვი. 16 ივლისი. მოსკოვში ბერლინიდან ჩავიდა სტუდენტების პირველი ჯგუფი, რომელთაც განზრახვა აქვთ თავისი შვებულება გამოიყენონ პრაქტიკული მუშაობისათვის მოსკოვის ფაბრიკებში და ქარხნებში. ამავე მიზნით ამ დღეებში მოსკოვში ჩავა სტუდენტების ჯგუფი ჩეხო-სლოვაკიიდან, ავსტრიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

თევზის მრეწველობის მუშაკთა თათბირი.

მოსკოვი. 13 ივლ. გაიხსნა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო თევზის მრეწველობის მუშაკთა თათბირი, რომელზედაც ესწრებიან საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, მუშა-კვების კავშირის ცეკას, ვოლგა-კასპიის ტრესტის, აზერბაიჯანის და დაღესტანის ტრესტების და სხვა წარმომადგენლები. თათბირმა მოიწონა პროექტი, რომლის თანახმად ვოლგა-კასპიის ტრესტი, „სპარსეთის თევზის სამმართველო“ („პერსრიბა“). და შორეულ აღმოსავლეთის სამრეწველოები გადაეცემა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თევზის მრეწველობის ცენტრალურ სამმართველოს, რომლის სათავეშიაც იდგომება თევზის მრეწველობის დირექტორიატი.

ნათესების მდგომარეობა

მოსკოვი. 16 ივლ. საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის სხდომაზე ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს უფროსმა ამხ. **პოპოვმა** მოხსენება გააკეთა მიმდინარე წლის მოსავალის პერსპექტივებისა **და** იმ ამოცანების შესახებ, რომელიც ეკისრება მრეწველობას მოუსავლობის გამო. ამხ. პოპოვმა აღნიშნა, რომ 1 ივნისისათვის მოსავალის საერთო მდგომარეობა ხასიათდებოდა ბალით 2,5; **მაგრამ 15 ივლისისათვის ნათესების მდგომარეობა გაუმჯობესდა;** თუ ცუდი ამინდები გაგრძელდა, მაშინ ნათესების მდგომარეობის შემდეგი გაუარესება აუცილებელია. თუ მხედველობაში მივიღებთ საბჭოთა მეურნეობების ნათესებს და ქალაქების მიწებზე დათესილ პურებს, მაშინ ხორბლეულის მოსავალი უნდა გამოიხატოს 1.260 მილ. ფუთში. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მოუსავლობა გავლენას მოახდენს სახალხო მეურნეობის ყველა მხარეებზე და იმოქმედებს აგრეთვე მემინდვრეობის **პროდუქტების ფასების გადადებაზე.** მიგრამ სოფლის მოსახლეობის სყიდვითი უნარიანობა არ შემცირდება, შეიძლება ის გაიზარდოს კიდეც წარსულ წელთან შედარებით. პურის დამმზადებელმა ორგანიზაციებმა ეხლავე უნდა შესცვალონ დამზადების გეგმები და მათ მიზნათ უნდა დაისახონ ზედმეტი ხორბლის გამოტანა ციმბირიდან და უკრაინის მოსავლიან ნაწილიდან; ეს ხორბალი გაგზავნილი უნდა იქნეს მოუსავლიან რაიონებში. მრეწველობამაც აგრეთვე უნდა შესცვალოს პროდუქტების რეალიზაციის გეგმა. სახელმწიფო მრეწველობის ნაწარმოებები გაგზავნილი უნდა იქნეს იმ რაიონებში, სადაც გაყიდული იქნება ხორბალის ზედმეტი რაოდენობა. მრეწველობამ უეჭველათ უნდა გაიფართოვოს თავისი წარმოება, რადგან მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება სწარმოებდეს სახალხო მეურნეობის აღორძინების პროცესი. **საჭიროა** ფასების დაკლება სახელმწიფო მრეწველობის ნაწარმოებებზე და **საჭიროა** აგრეთვე კრედიტის მიცემა **როგორც** საეკონომიო ორგანიზაციებისათვის, **ისე** მომხმარებელთათვის.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებ[illegible] ვა, პარასკევს 18 ივლისს,

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგი შეიმუშავონ თვით რაიკომებმა და უფროსელ[illegible]

თბილისის კომიტეტ[illegible]

[illegible] ფლოტი

ფითელი ფლოტი და კომკავშირი

მოსკოვი. 17 ივლისი. რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის სრულ

კოოპერაცია

ცეკავშირის მუშაობა

(მაისი და ივნისი)

მიმდინარე წლის მაისში და ივნისში ცეკავშირის სხვადასხვა დარგების საქმიანობა შემდეგში გამოიხატა:

არა სავაჭრო დარგის მუშაობა

ამ უკანასკნელ დროს კოოპერატიულ მშენებლობის წინაშე სრულიად ახალი, წინანდელთან შედარებით არსებითად შეცვლილი ამოცანები დაისვა. დღიდან შინა-ვაჭრობის კომისარიატის დაარსებისა ცეკავშირს აღარავითარი საკუთარი ფასების პოლიტიკა არ აქვს. ამ ფასების პოლიტიკას მთავრობის დასახელებული უწყება იმუშავებს და მიმართავს. ამ მიზეზით კოოპერაციისათვის ძველი გზით, ე. ი. სხვადასხვა სავაჭრო კომბინაციების საშუალებით საკუთარი კაპიტალის შექმნა შეუძლებელი ხდება. ამ გარემოებამ წინ წამოაყენა ორი მომენტი—კოოპერაციის გარშემო ნამდვილ აქტიურ წევრების შემოერება და საპაიო თანხების დაგროვება. ამ ორი მომენტის გარშემო ცეკავშირის არა სავაჭრო დარგი აწარმოებდა გაცხოველებულ საინსტრუქტორო-საორგანიზაციო მუშაობას. სწარმოებდა მუშაობა კოოპერატიულ ორგანიზაციის, რეორგანიზაციასა, მათი ნებაყოფლობით და თავისუფალ წევრობის ნიადაგზე აწყობის მიზნით. ამ მუშაობის სიმძიმის ცენტრი სოფლათ იქნა გადატანილი. საჭირო იყო მთელი რიგი საკითხების დამუშავება და ამ მაისის შუა რიცხვებში ცეკავშირის არა სავაჭრო განყოფილებამ მოიწვია რაიონებში მომუშავე და ცენტრში მყოფ კოოპერაციის ინსტრუქტორების ყრილობა. ამ ყრილობაში მონაწილეობა მიიღეს თითქმის საქართველოს ყველა ეკონომიურ რაიონებში კოოპერატიულ დარგში პრაქტიკულათ მომუშავე ამხანაგებმა. ყრილობაზე განხილულ იქნა კოოპერატიულ ცხოვრების მიერ წამოყენებული სხვადასხვა საჭირ-ბოროტო საკითხები: საორგანიზაციო-საინსტრუქტორო მუშაობის წარმოების წესი, კოოპერატივების რეორგანიზაციის საკითხი, კოოპერატიული ვაჭრობის ორგანიზაცია სოფლათ და სხვა. ყველა ამ საკითხებზე ინსტრუქტორებს მიეცათ საჭირო დირექტივები და ყრილობის მიერ მიღებულ იქნა სათანადო დაწვრილებითი ინსტრუქცია, რომელშიაც გათვალისწინებულია კოოპერაციის განვითარებაში აქტიურ წევრთა ჩამბის წესი. განსაზღვრულ იქნა აგრეთვე საპაიო გადასახადის უმცირესი რაოდენობა—5 მანეთი და საწევრო გადასახადის მინიმუმი—1 მანეთი. ყრილობამ ყურადღება მიაქცია ყველა იმ არანორმალურ მოვლენებს, რომელთაც დღემდე ადგილი ჰქონდათ საქართველოს კოოპერატიულ ცხოვრებაში. ეს დადგენილება ჩამოყალიბებულია თეზისებში. ამ დადგენილებებით, თეზისებით და საჭირო დირექტივებით ინსტრუქტორები დაბარუნდნენ ადგილებზე და შეუდგენ მუშაობას. ცენტრის დავალებით მათ მიიღეს ზომები ისეთი კოოპერატიული ორგანიზაციების სალიკვიდაციოთ, რომელნიც ვერ ინახავენ თავის თავს და მაშასადამე არ არიან საჭირო არც მოსახლეობის და არც კოოპერაციის ათვის. ახალი კოოპერატიული ამხანაგობანი დაფუძნები გაიხსნა და გაიხსნება უფრო მსხვილ ეკონომიურ და ადმინისტრატიულ ერთეულებში, სადაც საათანადო ბაზა და ნიადაგი მზად არის. ამის შემდეგ დარჩა 120 გაჯანსაღებული მთლიანი კოოპერატივი 500 განყოფილებით, რომელნიც მუშაობენ წარმატებით და გაცხოველებული კავშირი აქვთ ცენტრთან, და 20 სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა. ამ რეორგანიზაციის ჩატარების დროს გლეხობა დიდ ინტერესს იჩენდა კოოპერაციისადმი. ამის შემდეგ კოოპერაციაში თავს იყრის ამ საქმით უაღრესად დაინტერესებული წევრები თავიანთი წვლილის (საპაიო გადასახადის) გაღებით. კოოპერატივების წევრთა რიცხვი თვალსაჩინოთ იზრდება. ამას დიდათ ხელს უწყობს კოოპერატივის წევრთა დაინტერესება მათთვის ფასების დაკლებით და სხვა შეღავათებით. ეს კამპანია ნებაყოფლობით წევრობაზე ორი კვირის განმავლობაში გამოვიდა 217 მიმბარებელი, შემდეგ ორ კვირაში კიდევ 84, ხოლო დასასრულს—55. ასე რომ 1 ივნისისათვის დარჩა მხოლოდ 512 მიმბარებელი, ხოლო ანაბართა საერთო ჯამი კი უდრიდა—249.086 მანეთი და 74 კაპეიკი.

მუშაკოოპბანკის საკუთარი თანხები.

მუშკოოპის ბანკის საკუთარი თანხები იზრდებოდა ამნაირად:

1923 წ. 1 იანვრისათვის იყო 1,558 მან. 44 კაპ. 1923 წ. 1 ივლისისთვის —21,350 მ. (ჩერვ.). 1924 წ. 1 იანვრისათვის 39,246 მან. 26 კ. (ჩერ.)1924 1 მაისისთვის 54,145 მან. 65 კ. (ჩერვონ.).

ამ თანხებს შორის პირველი ადგილი ეკირა ს. ს. კ. სამეურნეო კრედიტის ძირითად კაპიტალს, რომელიც შეიქნა მუშკოოპის მოგების ანარიცხებიდან.

აპრილის დასასრულს ეს თანხა 10.912 მანეთის რაოდენობით გამოირიცხა მეუშკოოპერატივის საკუთარი თანხების ჯამიდან და გადაირიცხა მიმდინარე ანგარიშზე სასოფლო განყოფილების განკარგულებაში.

ბანკის აქტიური ოპერაციები.

ბანკი აქტიურ ოპერაციებს აწარმოებს მხოლოდ მუშკოოპთან, რომელსაც სუბსიდიებს აძლევს სავაჭრო ოპერაციების საწარმოებლად და წევრებისათვის საქონლის მოსაწოდებლად.

რამდენად დიდ დახმარებას აძლევს კოოპ. ბანკი მუშკოოპს სავაჭრო მოქმედებისათვის, შეიძლება დავინახოთ მუშკოოპზე დარჩენილ—დავალიანების შემდეგი ნაშთებით. (სპეც. მიმდინარე ანგარიშების მიხედვით).

1923 წლის 1 იანვ. იყო 97019 მან. 45 კაპ. 1924 წლ. 1 იანვრის 169.953 მან. 46 კაპ. 1924 წ. 1 ივნისისთვის289. 107 მან. 31 კაპ. 1923 წლის პირველ ნახევარში სპეც. ანგარიშები მუშკოპმა მიიღო 196.890 მან. 23 კაპიკი და ხოლო დავალიანების დასაფარავად დაუბარუნა 124.556 მან. 22 კაპ.

მუშკოოპის ბანკის შემოსავლის ძირითად მუხლს შეადგენს სწორედ პროცენტები ამ მიმდინარე სპეც. ანგარიშებიდან.

ბანკის გამგეობის მორიგი ამოცანაა, რომ კვლავ გაზარდოს ანაბართა რაოდენობა ამ მიზნით, რომ შექმნას მუშა - მოსამსახურეებისათვის რაც შეიძლება ხელსაყრელი პირობები. ბანკმა მუშთა სასახლეში გახსნა თავისი განყოფილება.

საგლეხო მომგებიანი სესხის ბილეთების რეალიზაცია საქართველოში

როგორც გვატყობინებენ პროვინციიდან, საგლეხო მომგებიანი სესხის ბილეთების გავრცელება ჩვენი გლეხობის შორის მიმდინარეობს წარჩინებით.

ყველა სამაზრო კომისიები თითქმის ერთხმათ აღნიშნავენ, რომ თუმცა ამ ჟამად სოფლად სწარმოებს აღმშენებლობითი მუშაობა და ყოველი თავისუფალი მანეთი დიდათ საჭიროა სოფლის მეურნეობისათვის, ჩვენი გლეხობა სრული შეგნებით შეხვდა აღნიშნული სესხის კამპანიას და იყენებს მის ბილეთებს შეძლებისდაგვარად. დაწყებული 21 ივნისიდან, ვიდრე 3 ივლისამდე ა. წ. სხვა და სხვა რაიონებში განაღდებულია ოცდათოთხმეტი (34) ათასი მანეთის ბილეთები—სულ კი დაწყებული თვიდან—16 ივნისი—განაღდებულია 51.707 მ. 32 კაპ.

ამრიგად დარჩენილია გაუნაღდებლად (63,000) სამოცდასამი ათასამდე, და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ თუ ადგილობრივი მომუშავე ამხანაგები მიიღებენ შესაფერის ზომებს და ენერგიულ აგიტაციას გასწევენ,—უკანასკნელი კიდევ უფრო გულმოდგინეთ მოეკიდება მის შეძენას.

სამეგრელოს მუზეუმის შესახებ

(ამბ. კ. ხომერიკის წერილის გამო.)

„კომუნისტის“ № მე-156-ში მოთავსებულია ამბ. კ. ხომერიკის წერილი (განათლების კომისარიატის საყურადღებოთ) სამეგრელოს მუზეუმის შესახებ; ამბ. კ. ხომერიკის აზრით, მუზეუმში მოთავსებული კოლექციები დიდს არაფერს წარმოადგენს. ის ამბობს—თითო-ოროლა საგანი, რაც საყურადღებოა,, ტფილისს გადმოვიტანოთ, დანარჩენი გავიყიდოთ და შენობაში კი გლეხთა სასახლე გავმართოთო.

ვინაიდან სამეგრელოს მუზეუმის ირგვლივ დიდი ხანია უსამართლო მითქმა-მოთქმა არსებობს და ბევრს, როგორც სჩანს, ნათელი წარმოდგენა არა აქვს შიგ დაცულ კოლექციათა შესახებ, საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა ვსთქვათ ამ დაწესებულების შესახებ.

„სამეგრელოს მუზეუმი“ დაარსდა სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტით 1922 წლის 14 თებერვალს. იგი შესდგა სამეგრელოს სასახლეების სხვადასხვა სამუზეუმო ფონდიდან (გორდი, სალხინო, ჭკადუაში, ზუგდიდი), შეიცავს რამოდენიმე განყოფილებას: ისტორიას, ეთნოგრაფიას, არქეოლოგიას, გეოლოგიას, ხოლოგიას, ბიბლიოთეკას და არქივს.

ამათგან ყველა განყოფილება თანაბრად არაა წარმოდგენილი: ორი წლის განმავლობაში განსაკუთრებით გაიზარდა ისტორია-ეთნოგრაფიისა (ბიბლიოთეკა-არქივის განყოფილება, რასაც მკითხველი დაინახავს ქვემოთ მოყვანილ სქემატიურ ანგარიშიდანაც:

ისტორიის განყოფილება. ეს განყოფილება იძლევა შესანიშნავ სურათს მე-19 საუკუნის პირველ ნახევრის ფეოდალურ მთავრული ცხოვრებისას; ასე სისტემატიურად წარმოდგენილი, ამის მცირედად მსგავსი სხვა სამუზეუმო ფონდი საქართველოში ჩვენ სხვაგან არ მოგვეპოვება და ამავე დროს კი მას დიდი სამეცნიერო და სასწავლო-საგიტაციო მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით დღეს, როდესაც სკოლებზე დამყარებული საზოგადოებათ-მეცნიერება. ამ მხრივ განყოფილებაში დაცულ ექსპონატთა ღირებულობა ფასდაუდებელია.

აქ წარმოდგენილია:

1. პორტრეტები და სურათები (ზესრულებელია ზეთით, აკვარელით, ტუშით, ცარცით, ფანქრით და სხვა) ზოგი მათგანი ფრიად იშვიათი და ძვირფასია. 2. ნუმიზმატიკური კოლექცია. 3. ჰერალდრიკა, მთავართა ღერბები, ბეჭდები და დროშები. 4. იარაღი. დიდათ საინტერესო კოლექცია, სადაც წარმოდგენილია ყველა ქვეყნები. 5. ავეჯი ფრიად შესანიშნავი და იშვიათი ხელოვნებისა. წარმოდგენილია ყველა ქვეყნები, მათში განსაკუთრებით შესანიშნავია ნაპოლეიონის ნახმარი ავეჯი. 6. შირმები ძვირფასი ხელოვნებისა, განსაკუთრებით ჩინეთიდან და იაპონიიდან. 7. ძვირფასი ვაზები განსაკუთრებით ჩინეთიდან და იაპონიიდან. 8, 9 და 10. სერვიზი ქრისტოფელის ფაიანსის და ფაიფურის სპეციალურად დამზადებული საზღვარ-ბარეთ, ღერითი, ვეზნელითი, მონოგრამით და ბუეცური და მხედრული წარწერით. 11. ბროლი ფორმით, სიძველით და ელოვნებით შესანიშნავი. 12. საპირფარეშო საგანგებოთ შეკერილი ჭონოგრამებით და ხუეცურ-ქართული წარწერებით 13. ქართული ჭედვითი ელოვნების ფასდაუდებელი ნივთები ე-9-დან მე-18 საუკ. 14. ამავე სახის ნაქსოვ-ნაკერი და ნაქარგი. 15. ძველი ხელთნაწერები, 16. ალბომი ისტორიულ პირთა და მოღვაწეთა. 17, 18, 19, 20 და 21. განყოფილებანი: არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ხოლოგიური, გეოლოგიური და ბოტანიკური. 22. ფრიად იშვიათი და ძვირფასი ბიბლიოთეკა და 23. არქივი ბმარის შესასწავლად ერთად ერთი საჭირო მასალების დამცველი საგანძური.მე-18-19 საუკ. სულ 15.000

ამგვარია მოკლედ თვალგადავლებული სამეგრელოს მუზეუში, მაგრამ ამასთანავე აღსანიშნავია, რომ, ზემოასენებულის გარდა, სამუზეუმო კოლექციები მრავლად მოიპოვება ს. „დედოფალის სასახლის“ საწყობშიაც, ბევრია დარიგებული აგრეთვე კერძო პირებზე, რაიც არც სამუზეუმო-სამეცნიერო და არც სახელმწიფო ეკონომიურის თვალსაზრისით არ შეიძლება გამართლებულ იქნას.

განათლების კომისარიატის აზრით, საჭიროა მთავრობის დადგენილების მოყვანა სისრულეში.

ამბ. ხომერიკი მოითხოვს, მუზეუმის დღევანდელ შენობაში გლეხთა სასახლე გაიხსნასო. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქ. ზუგდიდი არც ისე „მშიერია“ შენობათა მხრივ (კერძოს რომ თავი დავანებოთ, იქ ორი დიდი სასახლეა), რომ თუ სათანადოთ იქნებაიან ისინი გაწესრიგებული დაწესებულებათა შორის, იქ თამამად შეიძლება მოთავსდეს როგორც მუზეუმი და სკოლა, აგრეთვე გლეხთა სასაალეც.

მაგრამ, თუ ვინიცობაა, მაინც გამოიარკვა, რომ ზუგდიდში სამწუხაროდ ჯერჯერობით არაა ნიადაგი მხარეთა ცოდნის მუზეუმისათვის, ჩვენ კატეგორიულად წინააღმდეგი ვიქნებით ასე „ხელაღებით“ გადაწყვეტისა: სერვიზი უვარგისია და გავყიდოთო, დანარჩენი თითო-ოროლა ნივთი თფილისში გადმოვიტანოთო. განათლების კომისარიატის აზრით, სამეგრელოს მუზეუმის ბედის საბოლოოდ გამოსარკვევად საჭიროა შემდეგი (წარდგენილია უზენაეს ორგანოში), 1) ცნობაში მოყვანა სამეგრელოში დაცულ ყველა სამუზეიმო კოლექციებისა, თუ ცალკე ნივთებისა და ამისათვის უწმინარეს ყოვლისა უკან დაბრუნება კერძო პირებზე გაცემულ, ხშირად, უეჭველად სამუზეუმოდ ღირებულების ნივთისა.

2) გამოყოფა **სპეციალისტების** მონაწილეობით მარტოოდენ ნივთიერ ღირებულების საგნებისა და მათი განაღდება სჭმეგრელოს კულტურულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

3) ზუგდიდში მუზეუმისათვის სათანადო პირობების შექმნა.

4) უკიდურეს შემთხვევაში—მუზეუმის ექსპონატების თითო ცალის თბილისში გადმოტანა და დუბლეტებისა და ტრიპლეტებისაგან სამუზეუმო ფონდის შექმნა—რუსეთისა და ევროპის სხვა მუზეუმებთან კოლექციებით გაცვლა-გამოცვლისათვის (ამ გვარი წინადადება ბლომათ მოგვდის).

ე. მამულაიშვილი.

პოლიტკატორღელთა საზოგადოებაში

როგორც ვიცით, ქ. ტფილისში ორ წელზე მეტია არსებობს ყოფილ პოლიტკურ კატორღელების საზოგადოება. წინეთ თუ ამ საზოგადოებაში წევრთა რიცხვი თითზე ჩამოსათვლელი იყო, დღეს მისი რიცხვი ასზე მეტს აღწევს.

გაიხსნა განყოფილება (ბიურო) და კარგა ხანია მოქმედებს ბათომში, სადაც წევრთა რიცხვი 16-მდე ადის; აგრეთვე განხრახულია ახლო ხანში ასეთივე ბიუროს დაარსება ოზურგეთში და ყვირილაში; ყვირილას საზოგადოებაში შევა აგრეთვე ჭუთაისი და ქიათურა, სადაც მოიპოვებიან ბევრი პოლიტკატორღელები, რომლებიც სხვა და სხვა ადგილას არიან ამ რაიონებში დაფანტულები.

ამიერ-კავკასიის პოლიტ-კატორღელთა განყოფილებათ ითვლება ტფილისი და მის ცენტრსაც ქალაქი ტფილისი შეადგენს ბაქოში (აზერბაიჯანში) და ერევანში (სომხეთი) იყო გაგზავნილი წარმომადგენელი და იქ შეუდგენ ბიუროს დაარსებას.

საზოგადოება შეძლებისდაგვარად დახმარებას უწევს იმ ამხანაგების ოჯახის წევრებს, რომლებიც გარდაიცვალენ; აგრეთვე დახმარება ეძლევა იმ ამხანაგებსაც, რომლებიც მოხუცებულობაში არიან და შრომის უნარი არ შესწევთ. ამ დახმარებას ისინი ღებულობენ მოსკოვის საზოგადოებიდან, რომელიც ცენტრი მთელ საბჭოთა ფედერაციაში; ტფილისის განყოფილება ეხმარება ისეთ ამხანაგებსაც, რომლებიც საჭიროებენ საკურორტო ექმობას.

საზოგადოებას აქვს ვერაზე აღმასკომიდან აღებული იჯარით „ვერის ბაზარი“ დარაბებით, რომლის შემოსავლის ნაწილი პოლიტკატორღელთა საზოგადოების სალარომია. თუ მივიღებთ მხედველობაში იმასაც რომ ზოგიერთი წევრები საზოგადოებ, ბისა უმუშევრებად ითვლებიან, მაშინ ადვილი წარმოსადგენი იქნება ყველასათვის, თუ რანაირ გაჭირვებას განიცდის ფინანსიური მხრით პოლიტკატორღელთა საზოგადოება, თუ მას დროზე არ აღმოეჩინა სათანადო დახმარება.

იელისის 22-ს, სამშაბათს, ბაღ „არტო“-ში განხრახულია პოლიტკატორღელთა საზოგადოების ფონდის გასაძლიერებლად გაიმართოს დიდი საღამო-სეირნობა, რომლის ეშინდა შემოსავალი გადაიდება ამ საზოგადოების ფონდის გასაძლიერებლად.

მუშკორი ყარამან.

ციოელ ჯარში

მშვენიერადაა მორთული თბილისის საგარნიზონო კლუბი (ჰლებ. პრ. ყოფ. „დაისი“).

ბაღი სუფთაა და მოვლილი, შადრევანებთან; თეატრი—შვენიერ დარბაზი და სცენით. დარბაზი კინოთეატრის, სადაც თითქმის ყოველ დღეა სურათების ჩვენება წითელარმიელთათვის; დიდებული სამკითხველოთ, მორთული რევოლიუციის ვეტერანების ბიუსტებით და სურათებით, მდიდარი სამკითხველო. ლენინის წითელი კუთხე და მრავალი სხვა კუთხეები, როგორიცაა — სასოფლო - სამეურნეო, ავიაცია, სასანიტრო, რადიო და სხვა, სადაცაა გამოფენილი ნიმუშები თავთავის დარგიდან. საგანგებოდ დანიშნული ინსტრუქტორები აძლევენ ახსნა-განმარტებას წითელარმიელებს, იკითხება ლექციები, საუბრები, ხმა-მაღალი კითხვები, ტარდება ყოველი კამპანიები, ეწყობა სეირნობები და სხვა.

აქვეა ბუფეტი გამაგრილებელი სასმელებით. ყოველთვის მუსიკა. ყველა წრეები აქ აწარმოებენ საზეიმოლო მუშაობას, ეწყობა საღამო-წარმოდგენები და სხვა, რომელსაც სიამოვნებით ესწრებიან როგორც წითელარმიელები, ისე ყველა პოლიტშემადგენლობა, მოსამსახურენი და მათი ოჯახობა.

აქაური.

პროფკავშირებში

განათლების მუშაკთა კავშირში.

კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ დაადგინა მისცეს იელისის თვის დახმარება 42 უმუშევარ კავშირის წევრს, თითოოულს 5 მან.

ფოსტა-ტელეგრაფის ტელეფონის და რადიოს მომუშავეთა კავშირში.

კავშირის საოლქო გამგეობამ გაარჩია საკითხი ხაზზე მომუშავე უბნის მექანიკოსებისა და ზედამხედველებისათვის დღიურების ნაცვლად პროცენტული დამატების გაცემის შესახებ. გამგეობამ გადასწყვიტა მისცეს დღიურების ნაცვლად პროცენტული დამატებები.

უმუშევართა რიცხვის შესამცირებლათ, კავშირის საოლქო გამგეობის დადგენილებით, დიდი ადწესებულებებთან მოიწყობა უმუშევართა ბიურო, რომლის წევრებს დაეკისრება განცხადებების დაწერა და სხვადასხვა ფორმების შევსება. გასარჯელო წინდაწინ განისაზღვრება კავშირის მიერ.

ბეტყავეთა კავშირში.

მეტყავეთა კავშირის ცენტრ. გამგეობამ მოისმინა მოხსენება ქიათურის სამაზრო ადგილკომის მუშაობის შესახებ. მომხსენებლის თქმით, ქიათურაში და მის მაზრაში ირიცხება 124 კავშირის წევრი. ამათში მეტი წილი ახალგაზრდა მუშები არიან.

ადგილკომს ჰყავს რწმუნებულები ქიათურაში, ჩხარში და ზესტაფონში. დადებულია მთელს მაზრაში 71 კოლექტიური ხელშეკრულება. პირველი ხარისხი იღებს 12 მან.—14 მან.-დე. ადგილკომს 2 წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლა ჰქონდა გახსნილი. მოემზადა 45 კაცი. ამჟამად ადგილკომს არცერთი წერა-კითხვის უცოდინარი წევრი არ ჰყავს.

კავშირის ცენტრ. გამგ. ქიათურის რაიონულ ადგილკომის მუშაობა მოიწონა და მისცა წინადადება ადგილკომს გადაათვალიეროს ქიათურის მუშებს შორის დადებული კოლექტიური ხელშეკრულება.

ბრძოლა უმუშევრობასთან

(შრომის ბაზრის მოწესრიგება)

საშუამავლო ბიუროები შრომის ბირჟებთან.

ახლო მომავალში განხრახულია საშუამავლო ბიუროების მოწყობა შრომის მთავარ ბირჟებთან. ბიუროს დანიშნულება იქნება დახმარების გაწევა იმ პირთათვის, რომელთაც უფლება აქვთ გატარდენ რეგისტრაციაში. ბიუროების მოქმედებას საფუძვლად ედება ნებაყოფლობით მიმართვის პრინციპი, რომლის თანახმად უფლება ენიჭებათ როგორც უმუშევრებს, ისე დამქირავებლებს საშუამავლოდ მიმართონ ბიუროს. ამავე დროს დამქირავებელთ ნება ეძლევათ ამოარჩიონ მათთვის შესაფერი მუშა ხელი. უმუშევრები ბიუროს სამსახურით სასყიდლის გაუღებლად სარგებლობენ, ხოლო დამქირავებელთათვის კი დაწესდება განსაზღვრული სასყიდელი. პირველ ხანებში საშუამავლო ბიუროების შენახვა დაეკისრება ქალაქის აღმასკომებს.

შრომის ბირჟის კომიტეტები.

ა | კ. შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიამ საკბჭოდ სცენო შემოიღოს შრომის ბირჟის კომიტეტების სხდომებზე ყველა იმ მორიგ ცირკულაურების წაკითხვა და განხილვა, რომელნიც ეხებიან შრომის ბაზრის მოწესრიგებას. კომიტეტებსვე ეევლებათ ცენტრალურ და საოლქო ორგანოების მზგავსივე ხასიათის დადგენილებათა და განკარგულებათა სხდომებზე განხილვა და შესწავლა.

რაჭის გზებზე

სხვადასხვა ამბები

— **ორთქლმავლის ლიანდაგიდან გადაცდენა.** 13 ივლისს, მატარებელი № 1.200 სად. პადარში შესვლის დროს, ისრის შეცდომით გადაწევის გამო ლიანდაგიდან გადავარდა ორთქლმავალი. ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა.

— **ხმიანი სანიშნებელი თბილისი-ევლახის უბანში.** უბედურ შემთხვევათა წინააღმდეგ მებრძოლმა კომისიამ საჭიროდ სცნო თბილისი-ევლახის უბანში შემოიღოს ხმიანი სანიშნებელი, რომლითაც უფრო ადვილი იქნება საშიშ ადგილებში მატარებლების გაფრთხილება. ამ. კავკ. რკ. გზების გამგეობამ ეს წინადადება დამტკიცა.

— **სტიპენდიების გადიდება.** გზათა სამმართველო სტიპენდიანტ-სტუდენტებს მუშათა ფაკულტეტების სტუდენტებს და მათ ოჯახებს აძლევს პროცენტულ დამატებას ა. | წ. 1 აგვისტოდან.

— **საგრილებელი ნაწილი.** გზათა სამმართველომ ბრძანება გასცა, რომლის ძალით, ცალკე დარგებში განაწილებული საგრილებლები გაერთიანდება ა.-კ. რკ. გზ. ეკონ. განყოფილებასთან. შტატი განსაზღვრულია 58 კაცით.

— **ჯარიმის მოსპობა.** იმ შემთხვევაში, როდესაც მუშა-მოსამსახურე უფასო ბილეთით ისარგებლებს არაწესიერათ ჯარიმა არ გადახდება, მხოლოდ წაერთმევა ერთდროული ბილეთით სარგებლობის უფლება.

გოცირიძე.

ბაქრის ფასები

დადგენილება

ა. კ. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა სამაზრო ადგილკომებისადმი.

ა.-კ. ფ. ს. რ. შინავაჭრობის სახ. კომისარიატთან შეთანხმებით და შესაცვლელად ამ უკანასკნელის დადგენილებისა № 3, ა. წ. მაისის 14-ს თარიღით, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს № 576, ა. კ. ფ. ს. რ. შინავაჭრობის სახკომისარიატის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

1) დაწესებულ იქნეს საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რკინის გზის ხაზზე მდებარე ყველა ქალაქებში ქვემოაღნიშნული საზღვრითი (предельные) ფასები პუთზე, რომელნიც სავალდებულო იქნება როგორც კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე კერძო პურით მოვაჭრეებისათვისაც: პირველი ხარისხის გირვანქა—8 კ., მეორე ხარისხის გირვანქა—6 კაპ. და მე-3 ხარისხის გირ. 4 ნახევარი კ.

შენიშვნა: ფასები ქართულ (თორნის) პუთზე 1 კაპ. მეტი თანაბრათ ბარისებენისა.

2) ა.-კ. ფ. ს. რ. შინა ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის ადგილობრივ ადგილებს ავტომობილური რეგულაციისა, ადგილობრივ ადგილებ. ში ბაზრებისა, ბაზრებ. ში, ბაზრ. ებ. ში, ბაზ. ებ. ში, ბ. ებ. ში, ბ. ებ. ში, ბ

ბარიანობით 16 ივლისი 1924 წ. № 161 (1016)

ვუფასოთ ცხოვრებამ

რატომ ხდება ასე?!

(მუშათა და გლეხთა ინსპექციის და გემო-კვების კავშირის საყურადღებოდ).

ავლაბრის მუშათა კლუბში ამ ერთი თვის წინედ დაიწყო მუშაობა ქართველ სცენის მოყვარეთა წრემ, რომელიც კვირაში ერთხელ დგამდა ქართულ წარმოდგენებს. ქართულ წარმოდგენებზე დიდძალი მშრომელი ხალხი დადიოდა, მაგრამ კლუბს შემოსავალი მაინც არ ჰქონდა. ამის გამო კლუბის გამგეობამ შეაჩერა ქართულ წარმოდგენების დადგმა.

მართალია, ქართული წარმოდგენები კლუბს დიდ შემოსავალს არ აძლევდა, მაგრამ ფული მაინც იმდენი შემოსდიოდა, რომ წარმოდგენების ხარჯებს ჰაფარავდა.

მიუხედავად ამისა, აღნიშნულ კლუბის გამგეობას განზრახვა აქვს სრულიად შეაჩეროს ქართული წარმოდგენები, რაც ჩვენ სრულიად შეუწყობარებლად მიგვაჩნია. მით უმეტეს, რომ სცენის მოყვარეები სრულიად უსასყიდლოდ მუშაობენ და გატაცებულნი არიან მხოლოდ ხელოვნების სიყვარულით.

ავლაბარში ქართული ენის მცოდნენი ნახევარზე მეტს შეადგენენ და მათი დატოვება კულტურული საზრდოს მიუწოდებლად იმ მოსაზრებით, რომ ქართული წარმოდგენები მოგებას არ იძლევიან, არას გზით არ არის გასამართლებელი. **მუშათა და გლეხთა ინსპექციას და გემოკვების მუშაკთა კავშირის კულტგანყოფილებას მართებს ამ საკითხს უურადღება მიაქციოს და კვლავ გააცოცხლოს კლუბში ქართული წარმოდგენები.**

ი. ჯ.

პოლიტ. განყოფილების პირველ სტამბის მუშებში

თუ შეიძლება რაიმე ქება ითქვას რომელიმე დარგის წინსვლა-წარმატებაზე და მუშებზე,—ეს თქმა სრული მნიშვნელობით ეკუთვნით პირველ სტამბის მუშა-მოსამსახურეებს, რომლების გულწრფელობა და ენერგია ყოველივე ღირსებით კმაყოფილების დაღს ასვამს მათ მოქმედებას.

ეს მომხდა ზემოხსენებულ სტამბაში რამდენიმეჯერ ყოფნა პატარა საქმის გამო და მათმა თავაზიანმა მოპყრობამ და საქმის სიყვარულმა განუსაზღვრელი იმედები აღმძრა გულში.

საბჭოთა ხელისუფლებას ასეთი მხნე და ერთგული მუშები ყოველთვის დაამშვენებენ და მის საქმესაც წინ წასწევენ.

ამ სტამბის ყოველივე მოწყობილება ჰიგიენურად დამაკმაყოფილებელია.

ჩვენი გულწრფელი მუშური სალამი აქაურ მუშებს და თანამშრომლებს.

მუშა სიო ხიდისთველი.

მიაქციეთ ყურადღება.

(ქალ. **აღმასკომის საყურადღებოდ**)

დიდი უმრავლესობა ალბად ყურადღებას მიაქცევდა, თუ როგორ უმოწყალოდ ექცევიან ჩვენ თვალ წინ მუშა-პიროტყვეებს. მძიმე ტვირთით დატვირთულ დროგებს ხშირად აღმართზე ორ იწვიან ცხენები და იმის მაგივრად, რომ პატრონმა მოაკლოს თვირთი და ასე აატანიოს, უმოწყალოდ სცემს ცხენებს და ასეთი წამებით აატანიებს ხოლმე.

მუშა- პიროტყვეებისადმი ასეთი მოპყრობა დაუშვებელია.

ასევე სჩადიან მეეტლეებიც. უმეტესობისაგან გაძვალ-ტყავებული ცხენებიც ვერ სძლებენ აღმართის ასვლას, მით უფრო, როცა ეტლში ოთხი სული ზის, და პატრონი ცემით ბოლს ადგენს ზურგზე.

ამ ჟამად თბილისში აუტანელი სიცხეებია. მზეზე ის აღწევს თითქმის 50 გრად. ამ დროს მეეტლეებს უნდა ჰქონდეთ ცხენებისთვის შუბლსაფარი. ასეთები დღეს არავის არ აქვს.

თუ არ ვცდები თბილისში უნდა არსებობდეს **პირუტყვთა დამცველი საზოგადოება.** კარგი იქნებოდა, **რომ ყველა ამას ყურადღებას მიაქცევდეს ეს საზოგადოება.** თუ რაიმე შესაფერი კანონი არ გამოიცა ამის შესახებ, ისე ბრძოლა შეუძლებელია. ყოველი შენი სამართლიანი შენიშვნისათვის ლანძღვით გიპასუხებენ.

მუშა-საქონელი ჩვენთან ერთად საერთო კეთილ დღეობას ჰკვნის; ამიტომ მასაც ჰუმანიურად უნდა მოეპყრთ.

მუშა ლადო.

ორთაბალის რაიონის № 1 საფაბრიკო კომეტეტის მუშაობა

ამ უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში საფაბრიკო კომიტეტს ჰქონდა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება 6-ჯერ, საფაბრიკო კომიტეტის სხდომა—13-ჯერ, ქიმიურ მრეწველობის კომიტეტის და საფაბრიკო კომიტეტის შეერთებული სხდომა—5 ჯერ.

საერთო კრებებზე ირჩეოდა საკითხი საერთაშორისო მდგომარეობის, სამეურნეო ორგანოების მუშაობის და ფეიქართა კავშირის ცენტ. გამგეობის მუშაობის შესახებ.

შრომის დაცვის კომისია თვალყურს ადევნებდა მუშა-მოსამსახურეთა ნორმალურ მუშაობას, ჯამაგირისა და კოლექტიური ხელშეკრულობით სხვა კეთილნი ნივთების თავის დროზე მიცემას.

საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიამ 4—6 განცხადება გაარჩია. განცხადებები უმთავრესათ საჩივრის ხასიათის იყო. მუშები ჩიოდენ სპეკტანისმოსის თავის დროზე მიუცემლობაზე. კომისიამ მიიღო ზომები, მოაწესრიგა საკითხი და დაკმაყოფილა მუშები. იმ შემთხვევაში, თუ მუშების დაკმაყოფილება შეუძლებელი ხდებოდა სიმძიმე აწევებოდა საფაბრიკო კომიტეტს, რომელიც იღებდა ზომებს და აკმაყოფილებდა მუშებს.

კულტურულ დარგში საფაბრიკო კომიტეტმა ბევრი რამ გააკეთა. გაგზავნა 20 მუშა წერა-კითხვის საღამოებიანი სკოლაში. დაარსა პოლიტწრე, სადაც 17 კაცი სწავლობს. აწერს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებს.

ახალგაზრდათა შორის მუშაობა სწარმოებს ნაყოფიერად. ასეთივე მუშაობაა ქალთა შორის.

ინფორ. **ქარხნელი.**

განკარგულებას ზესრულება უნდა

(ქ. **ბათომის აღმასკომის საყურადღებოდ**)

ბევრჯერ იყო ჩვენ გაზეთებში დაწერილი, რომ ჩვენი ბელადების სურათები იყოს მოხსნილი ყოველგვარ საჯაროებიდან, და აგრეთვე რესტორან-სამიკიტნოებიდან. ამაზე სათანადო განკარგულებაც იყო გამოქვეყნებული. ზოგიერთ ალგას კი დღესაც აქაც და პროვინციაში დაინახავთ სამიკიტნოებში, რესტორნებში და ყვრილ სავაჭრო დუქნებში ჩვენი ბელადების სურათებს.

ამ დღეებში მე მომიხდა ბათომში ყოფნა. სადგურის პირდაპირ მდებარე ყველა დუქნებში შევნიშნე ასეთი სურათები ჩამოკიდებული. ნუ თუ ბათომის აღმასკომის კომპეტენციაში არ შედის ცენტრის დადგენილების სისრულეში მოყვანა? ვაპრები და სპეკულიანტები ღირსი არ არიან ჩვენი ბელადების სურათით დაამშვენონ თავიანთი სავაჭროები.

მუშკორი ელდორადო.

რკინისგზელებში ეს უკანონობაა.

(რკ. გზის **პროფკავშირის საყურადღებოდ**).

როგორც იქნა, დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ, შორაპნის სადგურიც გადარიცხეს პირველ ხარისხოვან მე-2-რე კლასათ. ამან გამოიწვია მუშა-მოსამსახურეებს შორის განუსაზღვრელი სიხარული. ეს იმიტომ, რომ ჯამაგირებს, თუ ბევრს არა, ცოტას მაინც მიუმატებდენ; მაგრამ ამაოდ.

სარკინისგზო ადმინისტრაციამ ამ მხრივ მარტო სადგურის უფროსი, მისი თანაშეკმეწეები, საკონლის და ბილეთების მოლარენი დააჯილდოვა. 5-ამა ივლისის თარიღით მე 7 | 326 №-ით კიდეც გასცა განკარგულება 1-ლი განყოფილების მოძრაობის დარგის უფროსმა, რომ ზემოთ აღნიშნულ პირებს გამოუწერონ ა | წ. 1-ლი იანვრიდან ხელფრი განსხვავება; მაგრამ მალე მიხვდა თავის შეცდომას და 7-ს ხელმეორეთ მოახდინა განკარგულება მე-7 | 330 №-ით, რომ მიეცეს შემადგენელ-გადამმბელ-მეთვალყურეებსაც... გამოტოვა მხოლოდ მწონელები, მემანგარეები, მენიშნები და დარაჯები. ეხლა კი ადვილი წარმოსადგენია ყველასათვის, თუ რა მდგომარეობაში ჩავარდებოდენ ეს დანარჩენი პირები, როცა მათი ამხანაგები აღფრთოვანებას მიეცენ და მათ კი პირში ჩალა გამოავლეს.

საჭიროა, ეხლავე სერიოზული ყურადღება მიაქციოს ამ უსამართლობას „დორპროფსოიუზმა“ და სამართლიანად გამოასწოროს იგი.

ინფ. **ობოლი.**

ახალი ადგილკომი.

ა. წ. 7 ივლისს რკინისგზის მთავარ საწყობის მუშათა სასადილოში მოხდა მთავარ საწყობის და სამასალო სამსახურის საწარმოვო ნაწილის მუშა-მოსამსახურეთა კრება. კრების მიზანი იყო საკუთარი ადგილკომის არჩევა სარაიონო კომიტეტის დადგენილების თანახმად. მოხსენება გააკეთა ამხ. **აზრუმელაშვილმა.** წინედ აღნიშნული მუშები შეერთებული იყვნენ მთავ. სახელოსნოს ადგილკომთან, რომელსაც მუშაობის სირთულის გამო უძნელდებოდა ხელმძღვანელობა.

კრებამ ადგილკომის წევრებად აირჩია ამხანაგები, ადგილობრივი მუშებისაგან.

არჩეულ იქნა სარევიზიო კომისიაც.

მუშა ივ. ბ-შვილი

რკინისგზელთა ძრონიკა.

— **ურთიერთ-დამხმარე სალაროსათვის.** თბ. საუბნო პროფკავშირის პრეზიდიუმმა დადგენილებით მიმართა ყველა უბნის რკ. გზ. ადგილკომებს აწარმოონ სააგიტაციო მუშაობა ურთიერთ დამხმარე სალაროს შესახებ.

— **სესხის სახით.** იმავე უბნის პროფკავშირმა სთხოვა ა. | კ. რკ. გზ. პროფკავშირს, რათა ამ უკანასკნელმა აღძრას შუამდგომლობა რკ. გზის სამმართველოსთან **მიეცეს ურთიერთ დამხმარე სალაროს ავანსის სახით 100 ათასი მანეთი.**

— **ეკსკურსანტთა ხელმძღვანელები.** თბილისის საუბნო პროფკავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა დანიშნოს განსაკუთრებული ხელმძღვანელები ეკსკურსიებისათვის, რომლებიც გაუწევენ რკ. გზის მუშა-ეკსკურსანტებს დახმარებას ნახულის ახსნა-განმარტებაში.

— **ლიბანის სანატორიუმისათვის.** დამზადდებულია საჭირო მასალები: ქვა, კირი, წყალი და სხ.

— **ქალთა მუშობა.** საუბნო პროფკავშირის პრეზიდიუმმა დაავალა კულტგანყოფილებას გააძლიერის მუშაობა ქალთა შორის: დაარსოს სექციები, გაეცნონ მათ კულტურულ საქმიანობას, წაიკითხოს ლექციები და სხვ.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

(ამხ. **თავდჭმაძეს**)

მე ვმუშაობ გაზ. „ზარია ვოსტოკა“ სტამბაში ასოთ-ამწყობად. სისტემატიურათ მუშაობა მიხდება ზედმეტი საათებით, რადგანაც ტეხნიკურად სხვანაირად **გაზეთზე** მუშაობა არ შეიძლება.

გთხოვთ გამაგებინოთ, შემიძლია თუ არა მოვთხოვო ადმინისტრაციას შვებულებაში წასვლის დროს როგორც ძირითადი, ისე ზედმეტი საათების ნამუშევრის ჯილდო.

პასუხი.

თანახ. ამიერ-კავ. შრომის სახ. კომისარიატის მიერ 1923 წ. 23 ოქტომბრის თარიღით და № 70-ით გამოცემული დადგენილების განმარტებისა, შვებულებაში დათხოვნილ მუშა-მოსამსახურეთ **საშვებულებო ხელფასი უნდა მიეცეთ ავანსად. ამ გასამრჯელოში უნდა იქნეს შეტანილი გასამრჯელოს ყველა სახეები, როგორიც არის ძირითადი ჯამაგირი,** სპეციალური განაკვეთი, წარდი **საშუშაოსა და ზედმეტი საათების მუშაობის, თუ ამ უკანასკნელს აქვს სისტემატიური ხასიათი.**

როგორც თქვენ ცნობიდან სჩანს, თქვენ მუშაობთ ზედმეტ საათებში სისტემატიურად, ამიტომ **თქვენ გაქვთ სრული უფლება მოსთხოვოთ ადმინისტრაციას ზედმეტი საათების ნამუშევრის ხელფასი შეტანილ იქნეს თქვენ საშვებულებო ჯილდოში.**

ბორჯომი

2 ივლისს ბორჯომის პარტკომის პრეზიდიუმის მიერ იქნა გამოყოფილი პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებსაც დაეკალა 6 ივლისისათვის ჩატარება ბორჯომის რაიონში კამპანიის შემდეგ მოხსენებებით: 1) მოხსენება ს. ს. ს. რ. კავშირის წლის თავის შესრულების შესახებ; 2) მოხსენება გლეხთა მომგებიან სესხის შესახებ და 3) კოოპერაციის მნიშვნელობის შესახებ.

თემებში ადგილობრივ საბჭოების თავმჯდომარეების ინიციატივით შეგროვილი იქნა გლეხობა, სახელდობრ: წაღვერში, ბაკურიანში, ახალდაბაში, დვირში, გუჯარეთში და ყვიბისში. გახსნეს კრებები ადგილობრივ საბჭოების თავმჯდომარეებმა, სადაც მოხსენებები გაკეთებულ იქნა პასუხისმგებელ ამხანაგების მიერ. მოხსენებებ შემდეგ გამოტარილ იქნა სასათანადო რეზოლიუციები. სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ გლეხებში ღიდი შთაბეჭდილება იქმნია მოხსენებამ ს. ს. ს. რ. კავშირის წლის თავის შესრულების შესახებ. გლეხები ზიზღს უცხადებენ მენშევიკურ პარტიას, რომელიც გაეღენთილი იყო შოვინიზმით და სთესდა მოძმე ხალხთა შორის მტრობას და შუღლს.

გლეხთა მომგებიან სესხის შესახებ, გლეხებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან შეიძინონ ობლიგაციები. კოოპერაციის შესახებ გლეხობამ გამოიტანა დადგენილება ჩაეწერონ წევრებად, ბორჯომის მუშათა კოოპერატივში და ეპოებში, რითაც შესუსტდება ვერძო კაპიტალის სამოქმედო ასპარეზი.

ნ. ლ.

დაბა ჩხარში (შორაპნის მაზრა) წამალი არ იშოვება

დ. ჩხარში არის ერთი საბჭოთა აფთიაქი, რომელშიაც არავითარი წამალი არ მოიპოვება გარდა ცარიელი მუშებისა. აფთიაქის გამგე გლეხობას ისტერმებს, მოოლდ დაპირებებით: „გამოწერილი გვაქვს და დღეს თუ ხვალ აუცილებლათ გვექნებიან“. მაგრამ გადის აგერ მესამე თვე, დაპირებები დაპირებებათ რჩება და წამალი ჯერაც არსად არ არის.

საჭიროა საჩქაროდ მიაქციოს ყურადღება ამ მდგომარეობას შორაპ. სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებამ, და მოაწოდოს ყოველგვარი წამალი ჩხარის აფთიაქს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აფთიაქის მაგივრობას ასრულებენ ვერძო სავაჭრო დუქნები, სადაც ყიდიან ყოველგვარ წამლებს, რომლითაც ვინ იცის რამდენ ღარიბ და უვიც გლეხობას უსპობენ სიცოცხლეს და ასალმებენ წუთისოფელს.

ხშირად თვით აფთიაქის გამგეც ჰყიდის წამლებს საკუთარი სახლიდან და „ღმერთმა უწყის“, თუ რომელ ტაქსაზე ყიდის და რას ახდევინებს მყიდველებს! ყველა ამეების გამო, საჭიროა ვისგანაც ჯერ არს საჩქაროდ იქნეს მიღებული ზომები, რათა აკრძალულ იქნას წამლით ვაჭრობა, როგორც ვერძო დუქნებში, აგრეთვე აფთიაქის გამგის მიერ ვერძოძოთ წამლების გაყიდვა.

აფთიაქში მსახურებს დარაჯი, აგერ ოთხი წელიწადია. ამ ხნის განმავლობაში აფთიაქის გამგე გრიგოლ იშხნელი დარაჯს იმსახურებდა, როგორც აფთიაქში, ისე თავის სახლში. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

ბასი.

მთავროგის მოქმედებანი, და გადაწყვეტილებანი

დადგენილება № 103.

ა | კ. **შრომის სახალხო კომისარიატისა.**

1924 წლის ივლისის 11-ს.

„შრომის ბირჟების მიერ სამუშაოზე ანაგზავნ მუშა-ხელის არჩევაში დამქირავებელთა მონაწილეობის მიღების უფლების გაფართოვების შესახებ.“

ვინაიდან დამქირავებლების მიერ მუშა-ხელის არჩევაში მონაწილეობის მიღებამ, რომელიც შემოღებული იყო ა—კ. შრომის სახ. კომისარიატის მიერ 1923 წლის ნოემბრის 16-ს თარიღით და 97- №-ით გამოცემულ ცირკულიარით, გაამაგრა კავშირი შრომის ბირჟასა და სამეურნეო ორგანოებს შორის და მოგვცა დადებითი შედეგები იმ მხრივ, რომ დამქირავებლებს შეძლება მიეცათ ზედმიწევნით აეკრნიათ თავიანთვის საჭირო მუშა-ხელი, ამიტომ ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატი სცნობს რა საჭიროთ აღნიშნულ ღონისძიების გაფართოვებას, ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „შრომის ბირჟების მიერ სამუშაოზე გასაგზავნ მუშა-ხელის ამორჩევაში დამქირავებლების მონაწილეობის შესახებ“ 1923 წლ. ნოემბრის 16-ს თარიღით და 97-№-ით გამოცემულ ცირკულიარის (ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატის უწყებები № 6) შესაცვლელად ადგენს:

1. უფლება მიეცეს დამქირავებელთ მონაწილეობა მიიღონ ყველა შემთხვევაში მუშა-ხელის არჩევაში, მოთხოვნილ მუშა-ხელის რიცხვისა და კვალიფიკაციის მიუხედავათ.

2. მუშა-ხელის არჩევას აწარმოებს შრომის ბირჟის სათანადო პროფსკავშირის გამგე, დამქირავებლის ან მისი რწმუნებულის უშუალო მონაწილეობით, რომელიც ისეთსვე მონაწილეობას იღებს მუშა-ხელის არჩევაში, როგორც შრომის ბირჟის თანამშრომლები.

3. დამქირავებელის მიერ შრომის ბირჟაზე მოთხოვნის და მუშა-ხელის არჩევაში მონაწილეობის მიღების სურვილის შესახებ განცხადების (წერილობითი ან სიტყვიერი შემოტანისას, მას, (დამქირავებელს) ეცნობება ვადა, როდესაც ის უნდა გამოცხადდეს ამ საქმისათვის შრომის ბირჟაზე.

უკეთუ დამქირავებელი არ გამოცხადდა დანიშნულ ვადაზე, შრომის ბირჟას შეუძლია საერთო წესით მოახდინოს მუშა-ხელის შერჩევა და გაგზავნა.

4. მუშა-ხელის არჩევა დამქირავებელის მონაწილეობით სწარმოებს შრომის ბირჟის მიერ გამოწვეულ უმუშევრების რიცხვიდან, მასთან არჩევის დროს საჭიროა ხელმძღვანელობა არა მარტო ამორჩეული კანდიდატის კვალიფიკაციის და სტაჟის თანადობით შემოტანილ მოთხოვნილებასთან, არამედ მისი მუშაობის სტაჟითაც უწყებულ ან მისდაგვარი წარმოებაში.

შენიშვნა: ერთნაირი ღირსების კანდიდატების არსებობის დროს უპირატესობა ეძლევა პროფკავშირის წევრებს ან დამოძღვილიზაციით დათხოვნილთ და მათ შორის-კი იმათ, ვინც ყველაზე უფრო ადრე იქნა აღრიცხული შრომის ბირჟაზე.

5. ყოველგვარი უთანხმოება, რომელიც დაკავშირებულია მუშა-ხელის არჩევაში დამქირავებლის მონაწილეობასთან, წყდება შრომის ბირჟის გამგის და, განსაკუთრებით მნიშვნელოვან შემთხვევებში, შრომის ბირჟის კომიტეტის მიერ.

6. რადგანაც მუშა-ხელის შერჩევას ბირჟის მიერ საერთოდ და კერძოთ ასეთ შერჩევაში დამქირავებლის მონაწილეობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს და კარგათ და წესიერად დაყენებულ შერჩევას გადამწყვეტი მნიშვნელობა ეენება შრომის ბირჟის ავტორიტეტის განმტკიცებისათვის, შრომის ბირჟების კომიტეტებს წინადადება ეძლევათ ზედმიწევნით კანტროლი და მეთვალყურეობა გაუწიონ როგორც თვით შერჩევის, ისე შერჩევაში მონაწილეობის მიღების დროს დამქირავებლის უფლების სრულსა და ნამდვილ განხორციელებას.

საჭიროა აგრეთვე მიღებული იქნეს ზომები დამქირავებლის ჩასაბმელათ შერჩევაში მონაწილეობის მიღებაში, რათა საბოლოოდ მოისპოს ყოველგვარი საყვედურები დამქირავებლების მხრივ ბირჟებისა მიერ გამოგზავნილ მუშა-ხელის მათ მოთხოვნილებასთან შეუფერებლობაზე.

ა | კ. შრომის სახ. კომ. მოადგილე

ი ა შ ვ ი ლ ი.

ა | კ. შრომ. სახ. კომ. შრომის ბაზრის გამგის მაგ. კ რ უ გ ლ ი კ ო ვ ი.

პარტიული და საგაზეთო ანალენდარი

პ ა რ ტ ი უ ლ

— შაბათს, დილით 9 საათზე ს. ა. კ. კ. ცეკას შენობაში ბავშვთა კომ. ჯგ. სოკოლგია იწვევს სხდომას ბ. კ. ჯ. მომუშავეებს.

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1. სახელმძღვანელო კრებულის გამოცემა ბავშვთა კომუნისტური მოძრაობისათვის.
2. ბავშვთა ბეჭდვითი საქმე.
3. ბავშვთა საერთაშორისო კვირეულის ჩატარების შესახებ.
4. მიმდინარე საკითხები.

წინადადება გეძლევთ გამოცხადდეთ სხდომაზე: გონიეს, ბასილაშვილს, არფუთინოვს, შახდინაროვს, ჩხეიძეს, ციტაშვილს, ერმიშიანს და გოლუბავს.

სხდომაზე მოწვეულნი არიან პროლეტართა პოეტები: მაშაშვილი, კვიტანი, ოდიშელი, ახსუტიანი და ერთაშმინდელი.

ლენინის სახელობის ბავ. კომ. ჯგ. ცენტრ. საბჭოს დრ. თავმჯდომარე: ა. მ დ ი ვ ა ნ ი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს თბილისის სახელმწ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის მუშაკის სახოგადოებრივ მეცნიერ. ფაკულტეტის, სანიტენერო ფა—ტი და სასოფლო-სამეურნეო ფაკ—ტის გაერთიანებულ იაჩეიკების ყველა წევრებს და კანდიდატებს 25 ივლისამდე გატარდენ რეგისტრაციაში თბილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის იაჩეიკის ბიუროს წევრთან ამბ. კარახანიანთან საღამოს 8—10 საათამდე სახელმწ. პოლიტეხნიკ. ინსტიტუტის სტუდენტთა კომიტეტის ბინაზე.

ის ამხანაგები, რომლებიც არ გამოცხადდებიან რეგისტრაციაზე, მოიხსნებიან ქალაქის რაიკომის აღრიცხვიდან და გადაიგზავნებიან თბილისის კომიტეტში, როგორც რაიკომის გაუფრთხილებლად გამოსულები.

მდივანი—ა კ ო პ ო ვ ი.

საალრიცხ.—საინფორ. განყოფ. გამგე—ვ ა რ თ ა ნ ო ვ ი.

— დღეს, 18 ივლისს, საღამოს 6 საათზე „ჩემოს“ შენობაში (ტროლეის ქ. № 20 შესდგება „ჩემოს“-ს კომიაჩეიკის პირველი საორგანიზაციო კრება.

ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ამბ. მოდებაძეს, ვ. ს., შეეშოვს პარ. მგალობლიშვილს, ვაშაძეს, კუპატაძეს, პინიას, ცანავას, ხეკდელიძეს, გამრეკლიძეს თავის დროზე გამოცხადდენ კრებაზე.

ქალაქის რაიკომის მდივანი—ა კ ო პ ო ვ ი.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი: მშობელი ელენე მეკანარი-ლომთათიძე, დედა, დეიდები, ბიძები, ძალლები და ბეიდაშვილ-ბიძაშვილნი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ შეუდარებელ, დაუფასებელ და დაუვიწყარ ამხანაგ

ნ ა ტ ი ბ ლ ი ს ა ვ ა

უდროოდ დაკარგვას.

გამოსვენება ბინიდან (ბოსკოვის ქუჩა, 4) დღეს, 18 ივლისს საღამოს 5 საათზე. დაკრძალვა ვერის (ნიკოლოზის) სასაფლაოზე.

1508 1—1

ღრმად დამწუხრებულნი დედ-მამა ნიკოლოზ მიხეილის-ძე და თამარა ზაქარიას ასული პაპიძეები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ ორმოცი დღის თავზე უდროოდ და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში დაღუპულ ორი ვაჟი შვილის

ვასტანგი და აკაკი პაპიძეებისა

პანაშვიდი იქნება გადახდილი დღეს, 18 ივლისს, ნაშუადღევის 6 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

1—1 № 1477.

ქ. თბილისის ფარგლებში მცხოვრობ

1904 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდის და 1903 წელში დაბადებულ მოქალაქეთათვის. რომელნიც აქამდის არ არიან მიფერილი გასაწვევ უბნებზე, ოჯახური მდგომარეობის მიხედვით შეღავათის მიმცემ თბილისის აღმასკომთან არსებულ კომისიისა

თანახმად ს. ნ. ს. რ. სამხედრო კომისარის 1924 წ. № 94 ბრძანებისა ჯარში გასაწვევ მოქალაქეთათვის ოჯახურ მდგომარეობის მიხედვით არსებობს შეღავათის შემდეგი ხარისხები:

1-ლი ხარისხის შეღავათი—თუ ჯარში გასაწვევი პირი მარტოხელაა და თავის საკუთარი შრომით ინახავს სამს ან მეტ შრომის უნარმოკლებულ წევრს.

მე-2-რე ხარის. შეღავათი—თუ ჯარში გასაწვევი პირი მარტოხელაა და თავისი საკუთარი შრომით ინახავს ოჯახის ორ შრომისუნარმოკლებულ წევრს;

მე-3 ხარისხის შეღავათი—თუ ჯარში გასაწვევი პირი მარტოხელაა და თავისი საკუთარი შრომით ინახავს ოჯახის ერთ შრომის უნარმოკლებულ წევრს;

მე-4 ხარისხის შეღავათი—თუ ჯარში გასაწვევის ოჯახში, მის გარდა, კიდევ იმყოფება მეორე შრომის უნარიანი წევრი და ამ ორივეს საერთო შრომით ინახავს ოჯახის ოთხი ან მეტი შრომის უნარმოკლებული წევრი.

შენიშვნა: ოჯახის შრომის უნარმოკლებულ წევრებათ ითვლებიან:

ა) ყველა მამრობითი სქესის პირი 16 წლამდის 55 წელზე უხნესნი და ყველა მდედრობითი სქესის პირნი 16 წლამდის და 50 წელზე უხნესნი.

ბ) მდედრობითი სქესის პირნი, რომელთაც ყავთ 8 წელზე უნაკლოსი ბავშვები და არ მოეპოვებათ ამ ბავშვების სხვა მომვლელი პირნი.

გ) შრომის ინვალიდები.

შეღავათის უფლების დამადასტურებელ საბუთებათ ითვლება: თბილისის მ | გ. მილიციის და პროფორგანიზაციების მერ გაცემული მოწმობები, რომლებშიც სწორათ იქნება აღნიშნული ოჯახის წევრები, მათი წლოვანება, ნათესაობრივი დამოკიდებულება, ვინა სცხოვრობს ჯარში გასაწვევთან და ვინ იმყოფება მის ხარჯზედ. ხოლო როდესაც საკითხი შეეხება ჯარში გასაწვევ პირის ხარჯზე მყოფ ფიზიკურ შრომის უნარმოკლებულ წევრს,—ამ შემთხვევაში საჭიროა სოციალურ უზრუნველყოფის ორგანოს ან ოფიციალ სამკურნალო დაწესებულების მოწმობა.

კომისიის მუშაობა დამთავრდება ა | წ. 1 აგვისტოს.

ყველა ის მოქალაქეები, რომლებსაც სურთ მიიღონ შეღავათი, ეალდებიენი არიან ამ ზემოაღნიშნული ვადის განმავლობაში წარადგენონ თავ-სის აღმასკომში (ოსმანი № 5, ამბ. ახალდიანთან) თავიანთი განცხადებანი სათანადო საბუთების თანდართვით სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით საღამოს 6-დან 8 საათამდის.

ნ. 1330 2—1 **კომისია.**

თბილისის კომუნალური ნუსალსადენი

ამით აცხადებს, რომ პროფკავშირის წევრთათვის არსებული წყლის ფასის შეღავათის განსაკუთრებული მოწმობები **ძველი ვალის** ანგარიშების გასასწორებლად მიიღებიან სალაროში ა. წ. 1-ლ აგვისტომდე, ხოლო ამის შემდეგ იგინი, როგორც საბუთები, ჰკარგავენ ძალას და ასეთები აღარ იქნება მიღებული.

ნ. 1331 1—1 კომ. წყ. დირექტორი ინჟენერი **დიასამიძე.**

საქართველოს ს. მ. უ. ს.

სათბობი მასალის განყოფილება

(ბუშკინის ქ., № 3)

25 ივლისს დილის 11 საათისათვის განყოფილების ბინაზე ნიშნავს

საჯარო ვაჭრობას

განყოფილების „ობობისათვის“ საჭირო

3.900 ფუთ დაპრესილ თივის
800 „ ქერის
675 „ ბზის

საიჯარო წესით დამზადებაზე

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იმ პირებს, რომლებიც წარადგენენ საწინდარის სახით დამზადების ღირებულების 15 პროცენტიდი ფულით, ანდა პროცენტიანი ქაღალდებით.

— წერილობითი განცხადებები, საღერბო მარკებით, დაბეჭდილ კონვერტებში პირობების აღნიშვნით შეიძლება შეტანილი იქნეს პირადათ ანდა ფოსტით

დაწერილებითი ცნობების გაგება შეიძლება მაცალინეობის საათებში სათბობი მასალის განყოფილებაში **ინჟინერ ნ. პ. სოკოლინსკისთან.**

ნ. 1332 1—1.

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით **რენტგენი დარსონვალი**

მიხეილ გედევანაშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდები ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ უიფშიცის** ხელმძღვანელობით. თბილისი, ყორგანოვის ქ. № 20.

126—25—4

დავკარგე რკინის-გზიდან მიღებული პირადობის სერთიფიკატი № 18385 სად. ბაშურის კანდექტორის სოლომონ ცხადაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1511 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა შალვა გიორგის ძე ლებიშვილის სახელზე, № 1878. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1509 1—1

დავკარგე დაზღვევის წიგნაკი № 3572 გაცემული არაქელა აბრამოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1510 1—1

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი გაცემული ნიკოლოზ მეშვილდიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

1512 1—1

პროვინციაში

ფოთის ვითარება

ფოთი თავისი მდებარეობით წარმოადგენს კუნძულს. ის ყოველ მხრიდან წყალთა ზეა მოქცეული: შავი ზღვა, პალიასტომის ტბა, მდ. რიონი და სხვა. როგორც სავაჭრო ნავთსადგური, ფოთს დიდი მნიშვნელობა აქვს ამიერ-კავკასიისათვის. აქედან გაიქვთ საზღვარ-გარეთ მარგანეცი და შემოაქვთ რუსეთიდან: შაქარი, მარილი, ცემენტი, ფქვილი, ბურჭლეული და სხვა.

მარგანეცის გაზიდვა და რუსეთიდან საქონლის შემოზიდვა. დღითიდღე ფართოვდება.

საჭიროა ნავთსადგურის გაფართოება და შეკეთება ომის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ამაზე არავის უზრუნვია.

ამ ჟამად ნავთსადგურის სამმართველო აწარმოებს დიდ მუშაობას ამ მიმართულებით. ხღება საწყობების შეკეთება, გემების შემოსავალი ადგილის გაორმაგება და სხვა აუცილებელი მუშაობა.

აღმასკომი შეძლებისდაგვარად აშენებენ ქალაქს, აკეთებს ქუჩებს, პატარა ხიდებს, ასწორებს წყალსადენს და უკვე შეუდგა გასასხნელ ხიდის გაკეთებას მდ. რიონის ტაოზე. ეს ხიდი აერთებს ქალაქს ნავთსადგურთან. ხიდი წაღებულ იქნა 1922 წელს წყალდიდობის დროს. განზრახულია ამ დღეებში მუშაობა რიონის კალაპოტის გარღმავებისათვის, რომელიც ცოტად თუ ბევრად შეაჩერებს დიდი კუნძულის (ქალაქის ნაწილია) ტერიტორიის დანგრევას წყლის მიერ. მომავალში კი საჭიროა ხიდები, მაგრამ ეს მოითხოვს დიდ ხარჯებს და ჯერ-ჯერობით უნდა გამონახოს სხვა საშუალებები, რომ გადარჩეს ის მოსახლეობა, რომელთაც წაღეკვით უქადის მდინარე.

კალაპოტის გარღმავებისათვის ტუპსედან ჩამოვიდა საგანგებო ამისათვის მოწყობილ